

სასწავლო გეგმა მოდული 15

1. პიკორნავირუსები

- 1.1. პოლიომიელიტის ვირუსის მორფოლოგიური დახასიათება(პლიუს ჯაჭვიანი რნმ, უგარსო), მის მიერ გამოწვეული დაავადების რისკ ჯგუფები, კლინიკური მიმდინარეობა და ვაქცინაცია.
- 1.2 კოქსსაკი A და B- დაავადებები და რისკ ჯგუფები.
- 1.3 რინოვირუსები- სეროტიპების რაოდენობა და მათ მიერ გამოწვეული დაავადება.

2. არბოვირუსები და რობოვირუსები

- 2.1 ტაქსონომიური ჯგუფები(ოჯახი, გვარი) და მორფოლოგიური დახასიათება (გარსიანი, უგარსო, +რნმ, -რნმ და ა.შ)
- 2.2 არბოვირუსული ინფექციების გადამტანები(კოლო, ტკიპა), მათი გეოგრაფიული გავრცელება და დაავადების კლინიკური გამოვლინებები (დენგე, ყვითელი ცხელება, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ცხენების ენცეფალიტის ვირუსები).
- 2.3 არბოვირუსული ინფექციების პრევენცია (ვაქცინაცია)
- 2.4 ჰანტავირუსული ინფექციები, გადაცემის გზები და რისკის ჯგუფები.
- 2.5 არენავირუსების გადაცემის გზები და კლინიკური გამოვლინება.

3. წითურას ვირუსი

- 3.1 ტაქსონომია, რისკის ჯგუფები, გადაცემის გზები და კლინიკური სურათი. თანდაყოლილი წითურა.

4. ორთომიქსოვირუსების ოჯახი

- 4.1 გრიპის ვირუსის მორფოლოგია, გლიკოპროტეინები, გართულებები(მათ შორის მეორადი ბაქტერიული პნევმონიის გამომწვევი ბაქტერიები), მკურნალობა და ვაქცინები.

5. პარამიქსოვირუსების ოჯახი

- 5.1 პარაგრიპის ვირუსის მორფოლოგიური დახასიათება,დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები და რისკის ჯგუფები.
- 5.2 წითელას ვირუსის კლინიკური ნიშნები და რისკ ჯგუფები.
- 5.3 ყბაყურას კლინიკური გამოვლინება, რისკის ჯგუფები და გართულებები.
- 5.4 რესპირატორულ სინციტიალური(RSV) ვირუსის რისკის ჯგუფები და კლინიკური თავისებურებები, მკურნალობა.

6. რაბდოვირუსების ოჯახი

6.1 ცოფის ვირუსის მორფოლოგიური დახასიათება, დაავადების თავისებურებები, გადაცემის გზები .

7. ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

7.1 დაავადების განვითარების რისკის ჯგუფები, კლინიკური გამოვლინება, მეორადი ოპორტუნისტული ინფექციები და CD4⁺ უჯრედების რაოდენობა.

8. ჰეპატიტები

8.1 B-ჰეპატიტის ანტიგენები, სეროლოგიური პროფილი და ლაბორატორიული შედეგების ინტერპრეტაცია.

8.2 ჰეპატიტების ტაქსონომია, გადაცემის გზები, გენომის ტიპი.